



მარჯვენა პარკუჭის არითმოგენური დისპლაზიის/კარდიომიოპათიის (ARVD/C) დიაგნოსტიკური კრიტერიუმები

Georgian Heart
Rhythm Association

დიაგნოზი დგინდება, თუ სახეზეა:

- 2 დიდი კრიტერიუმი ან
- 1 დიდი და 2 მცირე კრიტერიუმი ან
- 4 მცირე კრიტერიუმი

კრიტერიუმები უნდა იყოს სხვადასხვა კატეგორიიდან (I-VI).

I. გლობალური და/ან რეგიონული დისფუნქცია და სტრუქტურული დარღვევები¹

დიდი კრიტერიუმები:

- მარჯვენა პარკუჭის მკაცრი დილატაცია ან მარჯვენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის დაქვეითება ინტაქტური (ან მხოლოდ მსუბუქად დაქვეითებული) მარცხენა პარკუჭის ფუნქციით.
- მარჯვენა პარკუჭის ლოკალური ანევრიზმები (აკინეზიური ან დისკინეზიური არეები)
- მარჯვენა პარკუჭის მკაცრი სეგმენტური დილატაცია

მცირე კრიტერიუმები:

- მარჯვენა პარკუჭის მსუბუქი გლობალური დილატაცია და/ან მარჯვენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის დაქვეითება ნორმალური მარცხენა პარკუჭის ფონზე
- მარჯვენა პარკუჭის მსუბუქი სეგმენტური დილატაცია
- მარჯვენა პარკუჭის რეგიონული ჰიპოკინეზია

II. კედლების ქსოვილის დახასიათება

დიდი კრიტერიუმები:

- მიოკარდიუმის ფიბროზულ-ცხიმოვანი გადაგვარება დადასტურებული ენდომიოკარდიული ბიოფსიით

III. რეპლარიზაციის ანომალიები

მცირე კრიტერიუმები:

- ინვერტირებული T კბილები მარჯვენა პრეკორდიულ განხრებში (V2-V3) (12 წელზე მეტი ასაკის ადამიანებში მარჯვენა ფეხის ბლოკადის გარეშე)

IV. დეპლარიზაციის/გამტარებლობის ანომალიები:

დიდი კრიტერიუმები:

- ეპსილონ ტალღები ან QRS კომპლექსის ლოკალური გაფართოება (>110 მწმ) მარჯვენა პრეკორდიულ განხრებში (V1-V3)

მცირე კრიტერიუმები:

- გვიანი პოტენციალები (სიგნალ-გასაშუალოებული ეკგ)

V. არითმიები:

მცირე კრიტერიუმები:

- მარცხენა ფეხის ბლოკადის ტიპით მიმდინარე პარკუჭოვანი ტაქიკარდია (მდგრადი ან არამდგრადი) ეკგ-ზე, ჰოლტერზე, დატვირთვის ტესტზე
- ხშირი პარკუჭოვანი ექსტრასისტოლია (>1000/24 სთ-ში) ჰოლტერზე

*დადასტურებული ექოკარდიოგრაფიით, ანგიოგრაფიით, მაგნიტური რეზონანსით ან რადიონუკლიდური სცინტიგრაფიით



Georgian Heart
Rhythm Association

VI. ოჯახური ანამნეზი:

დიდი კრიტერიუმები:

- დაავადების ოჯახური ანამნეზი დადასტურებული ნეკროფსიით ან ქირურგიულად

მცირე კრიტერიუმები:

- უეცარი სიკვდილის ოჯახური ანამნეზი (<35 წლის ასაკზე), გამოწვეული სავარაუდოდ მარჯვენა პარკუჭის დისპლაზიით
- დაავადების ოჯახური ანამნეზი დაფუძნებული არსებულ დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებზე

McKenna WJ, Thiene G, Nava A, Fontaliran F, Blomstrom-Lundqvist C, Fontaine G, Camerini on behalf of the Working Group Myocardial and Pericardial Disease of the European Society of Cardiology and of the Scientific Council on Cardiomyopathies of the International Society and Federation of Cardiology, supported by the Schoepfer Association. Diagnosis of Arrhythmogenic Right Ventricular Dysplasia/cardiomyopathy. Br Heart J 1994;71:215-218.